*პროექტი*

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**
**განკარგულება №**
**---თებერვალი 2025 წელი**

**„ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის დიმიტრი ჩრდილელის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის #580 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის დიმიტრი ჩრდილელის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის N580 განკარგულებას დაემატოს I შესახვევის დანართი (რუკა).

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**


X:480576 Y:4629567
დიმიტრი ჩრდილელის I შეს
X:480574 Y:4629449

**სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

**12 / დეკემბერი / 2024 წ.**

KA011770495990724

№ 282960

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო") წარედგინა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება:

2023 წლის 21 ნოემბრის №580 განკარგულება „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის დიმიტრი ჩრდილელის სახელის მინიჭების შესახებ".

№ 580 განკარგულებას თანდართული აქვს სიტუაციური რუკა დანართის სახით, რომელზეც დატანილია ქუჩის მოხაზულობა (საწყისი და დასასრული წერტილების მითითებით), ხოლო შესახვევის მოხაზულობა და გავრცელების არეალი არ არის აღნიშნული.

ამასთან, სააგენტოში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის № 03-0324327184 მიმართვა (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის პროგრამაში სარეგისტრაციო ნომერი 305370417), რომლის თანახმად მოთხოვნილია დანართში მითითებულ ქუჩებზე (მათ შორის დიმიტრი ჩრდილელის ქუჩაზე) სისტემური ნუმერაციის განხორციელება.

სამისამართო რეესტრში მონაცემების ერთიანი პრინციპით აღრიცხვისა და სწორი მონაცემების რეგისტრირების მიზნით, გთხოვთ, დაგვიზუსტოთ ინფორმაცია № 580 განკარგულების თანახმად დიმიტრი ჩრდილელის შესახვევის არსებობისა და მისი გავრცელების არეალის (საწყისი და დასასრული წერტილების მითითებით) თაობაზე.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი. — ხელმოწერილია/ დამოწმებულია ელექტრონულად — ნინო ბახია

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY


წერილის ნომერი: **03-032434731**
თარიღი: **12/12/2024**

**ადრესატი:** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
**მისამართი:** თბილისი

სამისამართო დეპარტამენტის უფროსს
ნინო ბახიას

ქალბატონო ნინო,

06-032434715-03 წერილის პასუხად, დანართის სახით გიგზავნით დიმიტრი ჩრდილელის ქუჩისა და შესახვევის გავრცელების არეალის ამსახველ სიტუაციურ ნახაზს. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ, უახლოეს პერიოდში, ტექნიკური უზუსტობის შესწორების მიზნით, საკითხი განხილული იქნება კომისიის სხდომაზე.

პატივისცემით:

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი


X 480468 Y 4629567
ქუჩა
X 480704 Y 4629570
შესახვევი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY


წერილის ნომერი: **03-032502372**
თარიღი: **23/01/2025**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2024 წლის 12 დეკემბრის საქმე #06-032434715-03 დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ დიმიტრი ჩრდილელის ქუჩის I შესახვევის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო


წერილის ნომერი: **16-012502471**
თარიღი: **24/01/2025**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 23.01.2025 წლის #03-032502372 (23.01.2025 წ. #14-01250232157-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი